

5. პროცესების მენეჯმენტი		შეფასების შკალა
5.1	უსდ-ს ხარისხის მართვის სისტემის შემუშავება, დანერგვა და სრულყოფა	
5.1.1	პროცესუალური მიდგომის დანერგვა	
№ დონე	სრულყოფის დონეების აღწერილობა - ინდიკატორები	
1	კონსერვატორიაში ხორციელდება ძირითადი პროცესების დაგეგმვა და მართვა. არსებობს წესები და რეგულაციები, რომლებიც ახდენენ ცალკეული პროცესების რეგლამენტირებას. შექმნილია სამსახურები და თანამდებობრივი პოზიციები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ძირითად პროცესებზე. სამუშაო პროცესები მთლიანობაში არ არის სისტემატიზირებული და დოკუმენტირებული.	1
		2
2	უსდ-ში დაწყებულია მუშაობა პროცესების სისტემატიზაციისა და დოკუმენტირებისთვის, განსაზღვრულია სამუშაო პროცესების თანმიმდევრულობა და ურთიერთქმედება. დადგენილია პროცესების რეზულტატიურობის კრიტერიუმები (მაჩვენებლები), მათი გაზომვის მეთოდები და მიზნობრიობა თითოეული პროცესის შესაბამისად	3
		4
3	დოკუმენტირებულია ყველა ძირითადი პროცესის 50% მეტი, დანიშნულია პროცესების მენეჯერები, ინერგება ძირითადი პროცესების მუდმივი მონიტორინგის სისტემა. მიღებული შედეგები ანალიზირდება და დარდება უსდ-ს მიერ დასახულ მიზნებს, ხორციელდება ცალკეული მოქმედებები პროცესების კორექციისა და გაუმჯობესებისათვის.	5
		6
4	დოკუმენტირებულია ყველა ძირითადი პროცესი, ხორციელდება დოკუმენტაციის მუდმივი ანალიზი, და გადახედვა, დანერგილია და მოქმედებს ძირითადი პროცესების უწყვეტი მონიტორინგის სისტემა. მიღებული შედეგები ანალიზირდება. არსებობს სამუშაო პროცესის კორექტირების სისტემა, მოსალოდნელი რისკების პრევენციის სისტემა ცალკეული პროცესებთან მიმართებაში.	7
		8
5	კონსერვატორიაში სრულად დანერგილია პროცესუალური მიდგომები. დოკუმენტირებულია ყველა ძირითადი პროცესი, ხორციელდება დოკუმენტაციის მუდმივი ანალიზი, და გადახედვა, დანერგილია და მოქმედებს ძირითადი პროცესების უწყვეტი მონიტორინგის სისტემა. მიღებული შედეგები ანალიზირდება და დარდება საზღვარგარეთის მსგავსი პროფილის უსდ-ების მიზნებსა და მიღწევებთან. შემუშავებულია და სრულად დანერგილია ყველა სამუშაო პროცესის კორექტირებისა და მოსალოდნელი რისკების პრევენციის სისტემა	9
		10